

სარგბიელი

საქართველო
საბავშვო

საორტული გაზეტი

სუთზაბათი 11 მარტი 1999 №43 (816)

ფასი 1 ლარი

ავალა ვარ, ავალა

ეროვნული
ნაკრების
თავდამსხმელ
არჩილ
არველაძეს
სურდო შეჰყვრია



მალე ვნახავთ მსაჯთა გამრავლებას

ფიფამ თქვა, რომ
მომავალი სეზონიდან
ორმსაჯიან ექსპერიმენტს
ქველანზე განვითარებულ
ლიგებშიც ჩაატარებს

ემოციური ალამიანი


ძაბოულში საბჭოთა ნაკრებში
ოთარ გაბაღია

მისი დონის მეკარე რომ
გვყავდეს, საქართველოს
ეროვნულ ნაკრებს ბევრიც
არ გაუჭირდებოდა



ღმერთმა გაჯანმრთელოს, პიტა ტანბინო!

ტონგელ მორაგბეს
ჩვენებთან თამაში
ძვირად დაუჯდა



REUTERS ბარსელონიდან



წუხელ კამპ ნოუზე: იოჰან კრუიფი შვილიშვილებთან

დიდი იოჰანის დედა

„კამპ ნოუ“ გაივსო. ბარსელონის მთავარ
სარბიელზე, წუხელ, 100 ათასი ადამიანი
აღფრთოვანებული უკრავდა ტაშს
ლეგენდარულ კაცს, იოჰან კრუიფს,
რომელიც დაბრუნდა იქ, სადაც უყვართ.

წუხელ „კამპ ნოუზე“ „ბარსელონა“ მსო-
ფლიოს ვარსკვლავთა ნაკრებს დიდი ჰოლან-
დიელის საპატივცემულოდ შეხვდა.
კრუიფის შერჩეულმა, ნარინჯისფერ მაის-
ურებში გამოწყობილმა ვარსკვლავებმა
თავიანთი ჯადოსნური ოსტატობა
დაუფარავ — დაუნებლად წარმოაჩინეს
კატალონიელი მაყურებლის წინაშე. თავად
კრუიფიც მთელი გულით ჩაერთო საქმეში
და მწვრთნელის ადგილიდან მაღლიანი
ქესტიკულაციით აფულიანა ვარსკვლავები.
„ჩვენ გვიყვარს იოჰანი!“ — ეწერა ერთ
პლაკატზე.

„კრუიფი ჩვენი გულუბის მეფეა“ — ლა-
ღებდა მეორე.
მაყურებელს პატივი სცევს ერიკ კანტონამ,
დენი ბლინდმა, ლუკ ნილისმა, ხორხე
კამპოსმა და სხვებმა. მაყურებელიც
აღფრთოვანებული ხვდებოდა თითოეულ
პასს, რონალდ კუმანი ხრისტო სტოიჩკოვს
თუ მიქაელ ლაუდრუს რომ მიანოდებდა.

თავიდან სტოიჩკოვმა ლაუდრუს საუ-
ცხოო მომენტი შეუქმნა, მაგრამ მიხაელ
რაიციგერის ჩარევამ იხსნა „ბარსა“, შემდეგ
კი მარიო ჟარდელმა გაინავარდა რუდ
ჰესბთან პირისპირ — კვლავ უშედეგოდ.
კანტონამ პირველივე შეხებით 25 მეტრიდან
სცადა გოლის გატანა, ხოლო ყოფილმა
ბარსელონელმა, ივან დე ლა პენიამ, ჯარი-
მიდან ააცილა.

მერე კი კლუბიერტმა გაილაღა, ჯერ ხუთი
ნაღი მომენტი გაუშვა ხელიდან, ხოლო 44-
ე წუთზე ანგარიში გახსნა.

2:0 ბრაზილიელმა ჯოვანიმ გახადა,
თუმცა მანამდე როჯერ გარსიამ, ალბერტ
სელადესმა და სონი ანდერსონმა ააცილეს
მიზანს.

მეტი გოლი არ გასულა, სიხარული კი
იცოცხლეთ იყო.

ახალი ფედერაციას ძველის ნაკვალავზე?

„კოლხეთი“ მინუს სამს გადაურჩა, ჯონი შალამბერიძე კი ერთწლიან დისკვალიფიკაციას

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპ-
ლინო კომიტეტის ახალმა შემაღვენლობამ გუშინ
პირველი სხდომა გამართა. პირველი ნაბიჯი კი, მო-
გესხეუბათ, ყველაფერში ძნელი და სამახსოვროა.
წესრიგის დამცველები კარგი იმიჯის შესაქმნელად
დიდად გაისარჯნენ — ჯერ სავალალო სასჯელით
დაეპუქნენ 28 თებერვალს „ლოკომოტივთან“ მატ-
ჩისას უწესოდ გარჯილ კოლხებს და მათგან თავგა-
მოჩენილ ჯონი შალამბერიძეს, მერე კი პატიება
ამჯობინეს.

სამართალდამცავებმა ასე ჩათვალეს, უპატიებლის
პატიება, ჩვენგან გამოჩენილი დიდსულოვნება, სხ-
ვათათვის სკადრის სასჯელზე უკეთესი მაგალითი
იქნებოთ. თუმცა, არც ის დავიწყებიათ, ამგვარ ღმთ-
ბიერებას უკუუფექტიც რომ შეიძლება მოჰყვეს.
ახლა სიტყვა ფეხბურთელებზეა ფედერაციის კე-
თილ შესტს კეთილადვე უნდა აღქმა.

იხილეთ მეორე გვერდი

პრტი ქულა ეჭვის საფასურად

არის ხოლმე, საფეხბურთო მატჩის შემდეგ მოთამაშეთა ნაღვანს ათბალიანი სისტემით აფასებენ. ათ მარტს შოთა ხინჩაგაშვილის ვარჯა ცხრა ქულად შევაფასეთ (თუ რატომ, ამაზე ქვემოთ). არა, არა თქმა უნდა, წარსულში სახელმწიფო ფეხბურთელს გუშინ ბურთისთვის არ ეცალა, მაგრამ მისი ქმედება მართლაც გამორჩეული და გარკვეულწილად მოულოდნელიც იყო.



ფოთელი ჯონი შალამბერიძე შოთა ხინჩაგაშვილს უმადლოდეს, ერთწლიან დისკვალიფიკაციას რომ გადაარჩა

გუშინ სპორტისა და ფიზიკური აღზრდის აკადემიის რექტორის კაბინეტში ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის სხდომა ჩატარდა. ახალწვეული კომიტეტის პირველ შეკრებას მასპინძელი — ომარ გოგიაშვილი თავმჯდომარეობდა. აკადემიის შენობაში შესულმა უნებლიეთ ფეხბურთის ფედერაციის ძველ შემადგენლობაზე დავიწყე ფიქრი (ასეთი რამ შენობიდან გამოსვლის დროსაც დამემართა, ამაზეც ქვემოთ იყოს). გამახსენდა მამინდელი სადისციპლინო კომიტეტის სხდომები, ჟურნალისტებს ცხვირწინ კარს რომ გვიჯახუნებდნენ, თუმც რამდენიმე წუთში ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა — კომიტეტის წევრის, ზვიად დარასელიძის შუამდგომლობით კომიტეტის თავმჯდომარე ომარ გოგიაშვილმა „სარბიელის“ წარმომადგენელი დიდსულოვნად მიიპატიჟა სხდომაზე. ორ-ორი გაფრთხილების გამო ფოთელი გოროზია, რუსთაველი მკვდელიც, დინამოელი ტულუში და სამკურნალო მცველი ბურნაძე თითო თამაშით დაისჯნენ, ამასთან თითოეული ფეხბურთელი 50-50 ლარით დაჯარიმდა — ამ დადგენილების გამოტანას სხდომამ წუთიოდ წუთი მოანდომა და ზუგდიდში მომხდარი ინციდენტის განხილვას მიუბრუნდა. ზუგდიდის, „ოლიმპი“ — „ლოკომოტივის“ შეხვედრაში, გურამ ასკაროლის გადაწყვეტილებამ (მსაჯამ მასპინძელთა კარში თერმეტრეტრეში დანიშნა), ზუგდიდელ გულშემატკივართა აღშფოთება გამოიწვია და მათაც თავიანთი რისხვა სტუმართა სათადარიგო სკამს დაატყვეს. ქვესართლი გულშემატკივრებმა მატჩის გაგრძელებას საფრთხე შეუქმნეს — იტყობინებოდა მატჩის ოქმით შეხვედრის ინსპექტორი, ადიკ დურსუნიძე (სხვათა შორის, სხდომას არ ესწრებოდა). საერთო გადაწყვეტილებით, „ოლიმპის“ მკაცრი გაფრთხილება გამოეცხადა, ხოლო მსაჯის ფაქტის განმეორების შე-

მგერიძის — ფეხბურთელ ჯონის და მსაჯ ავთანდილის, ასევე თანამსაჯის, პაატა დოგრაშვილის საქმე იწვევდა... 28 თებერვალი. თბილისი. „ლოკომოტივი“ — „კოლხეთი“. მატჩის 67-ე წუთი. რკინიგზელთა თავდასხმელი გოლდერძიშვილი თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფება, თანამსაჯი პაატა დოგრაშვილი აღამს აღმართავს, თუმცა გადაწყვეტილებას უმაღლესის და ხელს დაბლა უშვებს. გოლდერძიშვილს საუარესობაში აქცევს. არბიტრი ავთანდილ შალამბერიძე თერთმეტმეტრიანს ნიშნავს და მონასტერიც უმაღლესი ირევა — დროშაჩაბუტებული დოგრაშვილი ფოთელ ფეხბურთელთა ტყვეობაშია... ისევ სადისციპლინო კომიტეტის სხდომას დაუბრუნდეთ. მატჩის ინსპექტორ შოთა ხინჩაგაშვილს იმ ეპიზოდში საგულისხმო რამ აღმოუჩენია. შეხვედრის შემდეგ მატჩის ამსახველი ფირიც მოუთხოვია, თავის ვარაუდში დარწმუნებულია და ოქმში შენიშვნაც შეუტანია. ამის შესახებ ბატონმა შოთამ სხდომაზე განაცხადა — მომეჩვენა, რომ არეულობაში კოლხმა ჯონი შალამბერიძემ გვერდით მსაჯს თავი ჩაარტყა, ჩემი ვარაუდი მატჩის ფირის ნახვისას გამართლდა. შალამბერიძემ მსაჯი შეურაცხყო. ხინჩაგაშვილის ნათქვამი თავად დოგრაშვილმაც დადასტურა, ოღონდ მცირედი განსხვავებით. თანამსაჯმა, კოლეგა შალამბერიძე დაიხმარა და პატივცემულ „დისციპლინარებს“ სახელდახელოდ წარმოუდგინა „შეგარდენზე“ მომხდარი ინციდენტი — დოგრაშვილის მოქმედი თავი კოლეგის მხრებს მიენარცხა. თავად „მსჯავრდებულს“ ჯონი შალამბერიძე კატეგორიულად უარყოფდა ბრალდებას — არათუ თავი დამირტყამს, მსაჯს საერთოდ არ შეხებია. „კოლხეთის“ თავაკცმა ვია ტყებუჩავამ თამაშის ფირის კიდევ ერთხელ ნახვა მოითხოვა, თუმცა კომიტეტის თავმჯდომარემ რატომღაც ამ მოთხოვნას კატეგორიული უარი შეაგება. ამის შემდეგ კი განაჩენის გამოტანის დროც დადგა. ომარ გოგიაშვილი წამოიღა და შალამბერიძის ადრინდელი „დასახურების“ გათვალისწინებით (ერთ დროს ჯონიმ ფიზიკური შეურაცხყოფა საშვეიბრო კომიტეტის თავაკც ბადრი ქარქაშაძესაც მიაყენა) ფეხბურთელის სეზონის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მოითხოვა და თანაც დაყოფა, რომ ეს ყოველივე კარგი მაგალითი იქნებოდა სხვებისთვის. უმაღლესი კომიტეტი — პირველი ამბობს, სხვები კვერს უკრავენ-შეიქვი. შალამბერიძის კარიერას საფრთხე შეექმნა. სწორედ ამ დროს წამოიღა შოთა ხინჩაგაშვილი და ცხრაბალიანი სიტყვები წარმოიტყვა — ჩვენ ფედერაციასა და გუნდებს შორის აქამდე ჩატეხილი ხიდი უნდა აღვადგინოთ. ასე ხელაღებით გუნდის და ფეხბურთელის საჯალალო მდგომარეობაში ჩადებას ვერ დავეთანხმებით. ვფიქრობ, ფეხბურთელს სამმატჩიანი უნდა დისკვალიფიკაცია ვაკმართო. სანიშნუში მაგალითი ეს უფრო იქნება. სიმართლე გითხრათ, ამას არ მოველოდი. მსგავსი „დაუმორჩილებლობის“ ფაქტი ძველი ფედერაციის მუშაობაში ვერაფრით გავისხენე და იმიტომ. შალამბერიძის სამმატჩიანი სასჯელს 150-ლარიანი ჯარიმაც დაამატეს. თუმც ამას დიდი მნიშვნელობა არც აქვს. ფოთელთა დელეგაცია სხდომის შემდეგ კამაფიფილებას ვერ მალავდა. ვახტანგ ხაინძრავა, „კოლხეთის“ ტექნიკური დირექტორი — კომიტეტის გადაწყვეტილებით კამაფიფილი ვარ, მეგონა, უფრო მკაცრად დაგვსჯიდნენ, ადვილად გადავარჩით. კიდევ ერთი, შუამდგომელი სიტყვაში უკამაფიფილო არც ომარ გოგიაშვილი ჩანდა, ამ ეტაპზე ლიბერალური გადაწყვეტილება სამართლიანად მიმართა — ბრძანა ბატონმა თავმჯდომარემ... ისე, შოთა ხინჩაგაშვილს ათი ქულაც ეკუთვნოდა, მაგრამ აკადემიის შენობიდან გამოსულმა კვლავ ძველ ფედერაციაზე დავიწყე ფიქრი, მეხსიერებაში არაერთმა დადგებულმა საქმეცალმა გამოივსა, თანაც სხდომის დასაწყისში არალიბერალურად განწყობილი თავმჯდომარის ბოლოს ნათქვამი სიტყვები გამახსენდა და ერთი ქულაც ჩემი ეჭვის საფასურად დაგაკელი. პაატა კვანტალიანი

არჩილ არველაძე! აპადა ვარ, აპადა...



არჩილ არველაძე

...საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ბელგია-პოლანდიაში ყოფნაზე ამას წინათაც გაცნობთ. ვლადიმერ გუცაევი შინ გუშინ, გვიან ღამით დაბრუნდა და მასთან საუბარი ვერ მოვახერხეთ. სამაგიეროდ, ნუხელვე შევეხმიანეთ სურდომეყრილ არჩილ არველაძეს, რომელიც მწვრთნელსაც შეუგულიანებია და...

შეპარდენს ფრთები მზრდება

20 მარტს საქართველოს ნაკრები ეროვნულ სტადიონზე უკრაინის გუნდს ამხანაგურად გაეჯიბრება. ამ დღეს ტრიბუნებზე შეკრებილ გულშემატკივართ სურპრიზი ელით. სულ ახლახან ფეხბურთზე და საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე ფანატიკურად შეყვარებულმა ხუთმა ახალგაზრდამ ქვეყნის პირველი გუნდის გულშემატკივართა კავშირის შექმნა განიზრახა. მათ ჩანაფიქრი რეალობად აქციეს და სახელწოდებაც შესაფერისი გამოიბენეს — „შეგარდენი“. ეროვნული ნაკრების გულშემატკივართა კლუბს ჰყავს პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, გენერალური მდივანი და ბუღალტერი, იურიდიული მხარეები მოგვარებულია და თავიანთი საბანკო ანგარიშის ნომერიც გაუხსნიათ TBC ბანკში — 2700812. „შეგარდენი“ დღესდღეობით ოფიციალურად 50 წევრია რეგისტრირებული, მაგრამ მის დამფუძნებლებს სწამთ, რომ ეს რიცხვი აუცილებლად გაიზარდება. ახლა კი თავად კავშირის მიზნებზე მოგახსენებთ, ჯერ მთავარზე: „შეგარდენის დამფუძნებლებს განზრახული აქვთ, ინტერნეტის მეშვეობით მსოფლიოს საფეხბურთო საქმაროს გააცნონ საქართველოს ეროვნული ნაკრების ისტორია. იგულისხმება არამარტო ნაკრების სტატისტიკური მონაცემები, არამედ ინფორმაციები თავად გუნდში მოთამაშე ცალკეულ ფე-

— უკვე სამი დღეა, ვწევარ, მაღალი სიცხეები მაქვს. თავს ძალიან ცუდად ვგრძობ — გვიხარა არჩილმა — რაღაც, უცნაური სურდო შემეყარა.
— ბოლო მატჩში კი ითამაშე?
— ნეტავ, არ მეთამაშა. სწორედ მაშინ გავცივდი. შინ დაბრუნდი თუ არა, გარეთ აღარ გამოვსულვარ.
— უკრაინისთან მატჩამდე გამოჯანმრთელდები?
— აუცილებლად. ისეთი საგანგაშო არაფერია, 20 მარტამდე არ გამოიროს. თამაშზე შევევლად ჩამოვალ.
— გამოიახებულნი ხარ?
— ეროვნული გუნდის მწვრთნელს გუშინ თავად ვესაუბრე. თბილისში გელოდები, მითხრა.
— უფარჯიშებელს გაგიჭირდება.
— თამაშამდე ხომ ათი დღეა ხვალზე ფეხზე წამოვდები და ვარჯიშს ძველებურად განვახლებ. არა მგონია, სასურველი ფორმის აღდგენა გამოჭირდეს.
— თბილისში წამოსვლის შემთხვევაში, „ბრედსთან“ ურთიერთობა არ გაგართულდება? 27-ში სლოვენისთანაც უნდა ითამაშო?
— ვე მქორეხარისხოვანია. ჯერ საქართველო, მერე „ბრედს“. როგორც უნდა გამოვირდეს, მაინც ჩამოვალ. რადგან გამოიძახეს, ესე იგი ვჭირდები. კობა ინასარიძე



უცხოელებს ეროვნული ჰიმნის მღერა ჩვენსაგით არ ეთავილებათ

საქართველოს X რეაქიონატის კალენდარი. II ჯგუფი. II ნაკვეთი

დასავლეთი. „ა“ ქვეჯგუფი

დინამო ვაგრა
იბერია 2 სამტრედიო
მარგვეთი ზესტაფონი
მალაროელი ჭიათურა
მეშახტე ტყიბული
ოკეანე სამტრედიო
რაჭა ამბროლაური
რიონი ქუთაისი
საირმე ვადალი
სამგურალი 2 წყალტუბო
სულორი ვანი
ტორპედო 2 ქუთაისი
ჩიხურა საჩხერე

XIV ტური
22 მარტი, თრშაბათი
ჩიხურა - მარგვეთი
იბერია 2-ტორპედო 2
რაჭა - სულორი
23 მარტი, სამშაბათი
ოკეანე - ვაგრა
საირმე-მალაროელი
რიონი - მეშახტე
XV ტური
28 მარტი, კვირა
სულორი - იბერია 2
ვაგრა-სამგურალი 2
რაჭა - საირმე
ტორპედო 2-ოკეანე
29 მარტი, ორშაბათი
მარგვეთი-მალაროელი
მეშახტე - ჩიხურა
XVI ტური
2 აპრილი, პარასკევი
მალაროელი-მეშახტე
რიონი - ვაგრა
ოკეანე - სულორი
საირმე - მარგვეთი
4 აპრილი, კვირა
სამგურალი-ტორპედო 2
იბერია 2 - რაჭა
XVII ტური
7 აპრილი, ოთხშაბათი
მეშახტე - მარგვეთი
8 აპრილი, ხუთშაბათი
რაჭა - ოკეანე
ტორპედო 2 - რიონი
ვაგრა - ჩიხურა
სულორი-სამგურალი 2
იბერია 2 - საირმე
XVIII ტური
15 აპრილი, ხუთშაბათი
სამგურალი 2 - რაჭა
რიონი - სულორი
მალაროელი - ვაგრა
ჩიხურა-ტორპედო 2
ოკეანე - იბერია 2
16 აპრილი, პარასკევი
საირმე - მეშახტე
XIX ტური
18 აპრილი, ორშაბათი
რაჭა - რიონი
იბერია 2-სამგურალი 2
ტორპედო 2-მალაროელი
ვაგრა - მარგვეთი
20 აპრილი, სამშაბათი
ოკეანე - საირმე
სულორი - ჩიხურა
XX ტური
24 აპრილი, შაბათი
მალაროელი-სულორი

დასავლეთი. „ბ“ ქვეჯგუფი

ბახმარო ჩოხატაური
ეგრისი სენაკი
ენგური განმუხური
კოლეჯი ბათუმი
კოლხეთი 2 ფოთი
კოლხეთი სობი
მერცხალი ოზურგეთი
ოდიში 2 შუგდიდი
სალხინო მარტვილი
სამგურალი ჩხოროწყუ
სქური წალენჯიხა
ფაზისი ფოთი
შუქურა ქობულეთი

XIV ტური
22 მარტი, ორშაბათი
ბახმარო-მერცხალი
ოდიში 2 - სქური
კოლხეთი-სამგურალი
23 მარტი, სამშაბათი
შუქურა - ეგრისი
კოლეჯი - ფაზისი
სალხინო - ენგური
XV ტური
28 მარტი, კვირა
ეგრისი - კოლხეთი 2
სამგურალი-სალხინო
ენგური - ოდიში 2
ფაზისი - ბახმარო
29 მარტი, ორშაბათი
მერცხალი-კოლხეთი
სქური - კოლეჯი
XVI ტური
2 აპრილი, პარასკევი
კოლხეთი - ფაზისი
ბახმარო - სქური
სალხინო - ეგრისი
კოლხეთი-კოლხეთი 2
ოდიში 2 - კოლეჯი
მერცხალი-შუქურა
5 მაისი, ოთხშაბათი
ბახმარო - სალხინო
XXIII ტური
8 მაისი, შაბათი
სალხინო-კოლხეთი
სამგურალი-ენგური
ეგრისი - სქური
10 მაისი, ორშაბათი
შუქურა - ფაზისი
კოლხეთი-მერცხალი
ოდიში 2 - ბახმარო
XXIV ტური
13 მაისი, ხუთშაბათი
ენგური - ეგრისი
14 მაისი, პარასკევი
სქური - შუქურა
ფაზისი-კოლხეთი 2
მერცხალი-სალხინო
ოდიში 2 - კოლხეთი
ბახმარო - კოლეჯი
XXV ტური
16 მაისი, სამშაბათი
კოლეჯი-კოლხეთი
ოდიში 2-მერცხალი
სალხინო - ფაზისი
კოლხეთი 2-სქური
შუქურა - ენგური
ეგრისი-სამგურალი
XXVI ტური
22 მაისი, შაბათი
სამგურალი-შუქურა
ენგური-კოლხეთი 2
სქური - სალხინო
ფაზისი - ოდიში 2
მერცხალი-კოლეჯი
კოლხეთი-ბახმარო

აღმოსავლეთი. „ა“ ქვეჯგუფი

განთიადი კასპი
დილა 2 ვორი
დინამო 2 თბილისი
ვარძია ასპინძა
თორი ბორჯომი
ს.კ. იბერია თბილისი
ივერია ხაშური
ლოკომოტივი 2 თბილისი
მესხეთი ახალციხე
ჟინერი ჟინვალი
საუ თბილისი
ქარელი ქარელი
ცხინვალი ცხინვალი
ცხუმი სოხუმი

XIV ტური
14 მარტი, კვირა
მესხეთი - ივერია
საუ-ლოკომოტივი 2
ჟინერი - ქარელი
ცხუმი - დინამო 2
XXI ტური
29 აპრილი, ხუთშაბათი
ჟინერი - მესხეთი
ვარძია - ს.კ. იბერია
ცხინვალი - ქარელი
XV ტური
18 მარტი, ხუთშაბათი
დინამო 2 - მესხეთი
21 მარტი, კვირა
ვარძია - განთიადი
ცხინვალი - ჟინერი
22 მარტი, ორშაბათი
ქარელი - საუ
ს.კ. იბერია - ივერია
ლოკომოტივი 2-ცხუმი
დილა 2 - თორი
XVI ტური
29 მარტი, ორშაბათი
ივერია-ლოკომოტივი 2
ჟინერი - დილა 2
თორი - ვარძია
მესხეთი-ს.კ. იბერია
საუ - ცხინვალი
განთიადი-დინამო 2
ცხუმი - ქარელი
XVII ტური
2 აპრილი, პარასკევი
განთიადი - მესხეთი
ვარძია - ჟინერი
დინამო 2 - თორი
ქარელი - ივერია
ცხინვალი - ცხუმი
4 აპრილი, კვირა
ლოკომოტივი 2-საბურთა
დილა 2 - საუ
XVIII ტური
7 აპრილი, ოთხშაბათი
ცხუმი - დილა 2
თორი - განთიადი
ივერია - ცხინვალი
8 აპრილი, ხუთშაბათი
მესხეთი-ლოკომოტივი 2
საუ - ვარძია
ჟინერი - დინამო 2
ს.კ. იბერია-ქარელი
XIX ტური
13 აპრილი, სამშაბათი
დინამო 2 - საუ
16 აპრილი, ორშაბათი
თორი - მესხეთი
ვარძია - ცხუმი
დილა 2 - ივერია
ქარელი-ლოკომოტივი 2
17 აპრილი, შაბათი
ცხინვალი-ს.კ. იბერია
განთიადი - ჟინერი
XX ტური
24 აპრილი, შაბათი
მესხეთი - ქარელი
ლოკომოტივი 2-ცხინვალი
ს.კ. იბერია - დილა 2

აღმოსავლეთი. „ბ“ ქვეჯგუფი

შს ავადმთა თბილისი
ალაზანი გურჯაანი
ალგეთი მარნეული
არსენალი 2 თბილისი
დინამო 3 თბილისი
ზოოვეტი თბილისი
კახეთი თელავი
მრეტები თბილისი
სამგური ვარდაბანი
უნივერსიტეტი იბერია თბილისი
ქანავკო ხართიჭალა
დარწყალი ძველი ანაკაპი
ყვარელი ყვარელი
ჭაბუკიანი ჭაბუკიანი
ხალიბი ზრუსთავი

XVI ტური
14 მარტი, კვირა
მრეტები-აკადემია
კახეთი-არსენალი 2
ჭაბუკიანი-ყვარელი
ხალიბი - ალგეთი
ქანავკო - იბერია
15 მარტი, ორშაბათი
ლარწყალი-ალაზანი
კახეთი - ზოოვეტი
30 აპრილი, პარასკევი
იბერია - ჭაბუკიანი
21 მარტი, კვირა
ალგეთი - ლარწყალი
ალაზანი - ზოოვეტი
აკადემია - სამგური
არსენალი 2-მრეტები
დინამო 3 - ქანავკო
ყვარელი - კახეთი
XVIII ტური
29 მარტი, ხუთშაბათი
სამგური-არსენალი 2
მრეტები - ყვარელი
ლარწყალი - ხალიბი
კახეთი - იბერია
ჭაბუკიანი-დინამო 3
ქანავკო - ალაზანი
ზოოვეტი - ალგეთი
XIX ტური
29 მარტი, ორშაბათი
სამგური-არსენალი 2
მრეტები - ყვარელი
ლარწყალი - ხალიბი
კახეთი - იბერია
30 მარტი, სამშაბათი
არსენალი 2-აკადემია
ხალიბი - ზოოვეტი
იბერია - მრეტები
XX ტური
2 აპრილი, პარასკევი
კახეთი - ალაზანი
ჭაბუკიანი - ალგეთი
3 აპრილი, შაბათი
მრეტები - დინამო 3
სამგური - იბერია
4 აპრილი, კვირა
ზოოვეტი-ლარწყალი
ქანავკო - ხალიბი
აკადემია - ყვარელი
XXI ტური
7 აპრილი, ოთხშაბათი
ალაზანი - მრეტები
ალგეთი - კახეთი
დინამო 3 - სამგური
8 აპრილი, ხუთშაბათი
ლარწყალი - ქანავკო
მრეტები - კახეთი
XXII ტური
15 აპრილი, ორშაბათი
არსენალი 2-იბერია
სამგური - ალაზანი
კახეთი - ხალიბი
ქანავკო-არსენალი 2
ალგეთი - დინამო 3
აკადემია - ალაზანი
XXIII ტური
16 აპრილი, პარასკევი
მრეტები - კახეთი
XXIV ტური
20 მაისი, ხუთშაბათი
ზოოვეტი - ყვარელი
ლარწყალი - იბერია
კახეთი - სამგური
ჭაბუკიანი-აკადემია
ქანავკო-არსენალი 2
ალგეთი - დინამო 3
აკადემია - ალაზანი
XXV ტური
23 მაისი, კვირა
იბერია - ზოოვეტი
24 მაისი, ორშაბათი
ალაზანი - ხალიბი
დინამო 3-ლარწყალი
ყვარელი - ქანავკო
არსენალი 2-ჭაბუკიანი
აკადემია - კახეთი
სამგური - მრეტები

სამტრედიის „ოკეანე“ თამაშობს
მარანის ბაზაზე,
ვაგრის „დინამო“ წყალტუბოს
„სამგურალის“ ბაზაზე

ფაზისი თამაშობს მალანისას
სახელობის სტადიონზე
კოლეჯი „ბენჯეს“
სტადიონზე

„დინამო 2“ თამაშობს
„დინამოს“ დიდიმის
საწვრთნელ ბაზაზე,
საუ საქართველოს
ავრარული უნივერსიტეტის,
„ცხუმი“ კი „ივერია“ სტადიონზე.

„შს ავადმთა“, „მრეტები“,
„უნივერსიტეტი იბერია“ თამაშობენ
„ივერია“ სტადიონზე. „დინამო 3“
„დინამოს“ დიდიმის საწვრთნელ
ბაზაზე, „არსენალი 2“ კი
„ისნის“ სტადიონზე

ეროვნული
გიგლიოთეკა

REUTERS ლონდონიდან

გელგია

გალაღებული მატჩი
კორტრაიში 1:3 ვენკი
0:1 სტუბარი, 1:1 სტოიანოვიჩი, 1:2 ოულა-
რე, 1:3 ტ. გუდიონსონი
ლოკარნი 3:0 ვესტარლო
1:0 ლიზასი, 2:0 კოლერი, 3:0 დიასი

იტალია

თასის ნახევარფინალის
საპასუსო მატჩი
ფიორენტინა 2:2 (0:2d.d.) ბოლონია
0:1, 0:2 ბინტო (17, 64), 1:2 კოისი (98),
2:2 რუი კოშტა (118)

საფრანგეთი

XXVI ტური
მონაკო 0:0 მიცი
ლორიანი 1:1 რანი
1:0 სომეი (59ს.კ.), 1:1 ნონდა (71)
ლანსი 1:0 მონაპლი
1:0 ნიარკო (20)
ლიონი 2:1 ოსანი
1:0 კავეგლია (80), 2:0 კარტერონი (81),
2:1 კარნო (87)
სტრასბური 1:1 ბასტია
1:0 სავანიო (68), 1:1 კლეიტონი (79)
სსპ 0:0 ნანტი
ტულუზი 0:0 ლე ავრი

ჰოლანდია

თასის მეოთხედიანი

გერმანია

თასის ნახევარფინალის
მულფსბურგი 0:1 ვერდერი
0:1 ბოდე (52)

ინგლისი

გალაღებული მატჩები
პლემპერი 1:2 ვებრტონი
1:0 უორდი (2), 1:1, 1:2 ბაკიოკო (15, 65)
დერბი 2:1 ასტონ ვილა
1:0 ბაიანო (17), 2:0 ბარტონი (21), 2:1
ტომსონი (44)
ლიდსი 2:0 ტოტენჰემი
1:0 სმიტი (42), 2:0 კიუელი (68)
ნოტიუნგი 1:2 ნიუკასლი
0:1 შირერი (44), 1:1 ფრიდმანი (45), 1:2
პამანი (75)
თასის გადამამაგებ
ჩელსი 0:2 მანჩესტერი
0:1, 0:2 იორკი (4, 59)

თურქეთი

თასის ნახევარფინალის
საპასუსო მატჩი
გალათსარაი 2:0 სამარია
1:0 არიფი (27), 2:0 იუმთი (71)



ჩელსი — მანჩესტერი 0:2. ჩელსელი ლებეფი (ძირს) მანჩესტერელ ბექემს თავგანწირვით ებრძოდა

უზბეკეთი 1:1 უსენია

0:1 მეპო კოდრო (31), 1:1 ილუმი (66)
ისრაელი 2:0 რუშინათი
1:0 პარაზი (17), 2:0 ბადირი (64)

ამსანაგური მატჩები

ლუქსემბურგი 1:2 ისლანდია
1:0 კრისტოფი (23), 1:1 გუნლაუსონი
(75), 1:2 სიგურდსონი (87)

შვეიცარია 2:4 ავსტრია

0:1 პერცოვი (4), 1:1 ფოგელი (24), 1:2 ნო-
ვერინგერი (33), 1:3 როინმაიერი (44),
2:3 ფაიერზინგერი (50ს.კ.), 2:4 პერ-
ცოვი (57)

ფორმულა გალაიზიაედუ ჩაალნია




REUTERS კულა ლუმბურგიდან

მალაიზიურ ქალაქ სეპანგში 76 მილიონ დოლარად აგებულ ახალ საერთაშორისო ტრასას უკვე არსებულთაგან ორი რამ გამოარჩევს: ერთი ის, რომ მის 5,542 კმ-იან სხეულს გარს ორმაგი და თანაც 30 ათასი კაცის დამტევი ტრიბუნა არტყია, მეორეც ის, რომ მისი სიგანე შიგადაშიგ 16 მეტრს აღწევს და მრბოლებსაც მასზე უფრო შიგადა გაქროლებადანსრების საშუალებაც ექნებათ... ფოტოზე წლებანდელი სეზონის პირველი გმირი, ირლანდიელი ედი ირვინი მალაიზიის პრემიერ მაჰათმირ მოჰამადს (მარჯვნივ) თავის ნახეირებ ჩაფხუტს გადასცემს. 9 მარტი. სეპანგი. ახალი არენის ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე.


არის ასეთი სახეობაც...

თუკი სპორტის ჯიქური ქომავი ბრძანდებით და განსხვავებული სასმისებით თავის შექცევას განსხვავებული სახეობებით ვართობა გირჩევნიათ, მაშინ კერლინგის ამბავიც უნდა გახსოვდეთ აი, ვისთვის რომ ყინულზე თნანიზმის ვარიანტია, ვისთვის კი „ხეხე, რომ კარგად გახსრიალდეს“... ჰოდა, რაღა ბევრი ვხვებით: ედმონტონი. 10 მარტი. 1999 წლის „ლაბატ ბრიერის“ სრულიად კანადური შერეინებისას.




REUTERS ოტავადან

როცა ზარბაზნები ღუმან



REUTERS სარაევოდან



სარბიელი
სკორტული გაჯეთი
გამოიცვამ 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამსახურს,
ოთხსაბათს, ხუთსაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჳოცხვერია
დირექტორი ბიორგი ოქროშქაღლიძე
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
აპთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი მახტან ბუჩიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე
ვოციშვილი, სოლომონ გულისაშვილი, ვიორგი ვაშაძე, კობა
ინასარიძე, მაშუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიკა სანიძე

უცხოური განყოფილება ლაშა ვოლუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო
ოქროპირიძე, ონისე შინგუკაშვილი; კალათბურთის განყოფილება
გიო ახვლედიანი, ვიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე ინფ-
ორმაციის განყოფილება ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ლევან
კვლავაძე, ავთანდილ სვანიძე კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლოჯაშვილი,
ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა
ვიორგობიანი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი,
ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახუ-
რაშვილი, ნინო კველავაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა
ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, ვიორგი
ზარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის
გაგზირი 42, II კორპუსი,
IV სართული.
საზოოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საზოოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29